პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# წითელ-არმიელი

ფასი 3 კაპ.

პარასკევი, 30 აპრილი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ევანგულოვის ქ. ელსმენი 2—24.

—

განცხადების ფასი პირველ გვერდ. 80 კ. სტრ. 4 გვ. 40 კ.

94 (1089) | 1 და 2 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | 94 (1089)

## ხენოსან ლეგიონის ხუთი წლის თავზე.

დღეს ხუთი წელი შესრულ- მას შემდეგ, რაც დაარსდა რთული ცხენოსანთა ლეგი- ნი (იგი დაარსდა 1921 წელს, აპრილს) და ამ ხნის გან- ლობაში იგი ითვლებოდა, ვლება და ჩაითვლება ჩვენი თელი ჯარის ერთ-ერთ დიდ მშვენიეროვან ძალათ.

ქართულ ცხენოსანთა ლეგი- ნის ხუთი წლის არსებობა ეს ის ბრძოლის და გამარჯვების ები.

მართლაც ხუთი წლის მან- ზე ცხენოსან ლეგიონმა ერთი და ორი გამარჯვება იპოვა და არა ერთხელ შე- უსრავს თავისი გმირობით თავგანწირული ბრძოლით, შურ-გლეხური ხელისუფლე მტრები.

საბჭოთა ხელისუფლების რებთან ბრძოლაში, ცხენო- სან ლეგიონმა უსათუოდ მსახურა მუშების და გლე- ის წინაშე დიდი ნდობა და ვარული.

ამიტომ გასაგები უნდა იყოს ფაქტი, რომ ცხენოსან ლე- ონსა და მუშებსა და გლე- ბს შორის მჭიდრო კავში- ყოველთვის იყო და ამჟამათ დღითი-დღე მტკიცდება და ძარდება.

ლეგიონის მიერ გაწვრთნი- გლეხები, გაშვებულნი დო შვებულებაში, დღეს ვიან დიდ კულტურულ მუ- ობას სოფლად და ეს გარე- ება კიდევ უფრო აახლოვებს მშრომელთა ფართო მასას- ნ.

გარდა იმისა, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში ქართულ ცხენოსანთა ლეგიონი აწარმოებდა თავგანწირულ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან, დიახ, გარდა ამისა იგი ეწეოდა სამხედრო და პოლიტიკური ცოდნის მისაღებათ სათანადო მეცადინეობას.

ამ მხრივ ის დღეს უკვე სათანადო სიმაღლეზე სდგ ს და ჩვენ გვწამს, რომ ცხენოსანთა ლეგიონი კიდევ უფრო თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს თავისი მომზადებით და გმირობით ჩვენს წითელ ჯარში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული ცხენოსანთა ლეგიონმა დაიმსახურა არა მარტო, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ყურადღება, არამედ მან დაიმსახურა ყურადღება მთელი ჩვენი კავშირის მაშტაბით და უთუოდ ამის მაჩვენებელი იყო ის, რომ ჩვენი წითელი ჯარის ხუთი წლის თავის აღსანიშნავათ დღესასწაულის ჩატარების დროს, ამხ. ვოროშილოვმა ორასი ცხენი აჩუქა ჩვენს ცხენოსანთა ლეგიონს.

ამრიგათ დიდია ჩვენი ცხენოსანთა ლეგიონის ღვაწლი და ამაგი, რაიც მან დასდო მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, და ვფიქრობთ, რომ იგი კვლავ აწი არ დაიშურებს არაფერს მუშურ-გლეხური ხელისუფლების დაცვის საქმისთვის. ჩვენი მხედრული სალამი ცხენოსანთა ლეგიონს!

## ღმოსავლეთის ერების ბრძოლა.

აღმოსავლეთის ქვეყნებში მე- დ საყურადღებო ამბები ხდე- ჩინეთში თითქმის მიზანს აღწია გაერთიანებულმა ჩი- ის რეაქციამ სხვადასხვა იმ- პიალისტური სახელმწიფოე- დახმარებით. ჩინეთის სა- ხტო ქ. პეკინი დღეს მათ ლშია. ისინი განაგრძნობენ ტევას და უნდათ საბოლოო- განადგურონ სახალხო არ- ს ნაწილები და სისხლში ჩა- ხრჩონ ჩინეთის რევოლიუციო- რი მოძრაობა.

სისხლის მღვრელი შეტაკებე- ხდება ინდოეთში მუსულმა- ბსა და ინდოელებს შორის. ოვნული მოძრაობის განვი- რება საფრთხეს უმზადებს გლისის საახალშენო პოლი- კას და ემუქრება მას ახალ- ენის დაკარგვით. ამიტომაა, მ ის იყენებს სარწმუნოებ- ვ ნიადაგზე წარმოშობილ თანხმოებას, რომელიც არის ართული ინდოელებსა და სულმანებს შორის და აწ- ყობს კალკუტაში მათ შორის სისხლის მღვრელ შეტაკებებს.

უკეთესი მდგომარეობა არ არის არც საფრანგეთის ახალშენებში. სირიაში, თითქმის ყოველდღიურათ სწარმოებს შეტაკებები ადგილობრივ მცხოვრებლებსა და საფრანგეთის ჯარებს შორის. მაროკოსთან თუმცა მოლაპარაკება სწარმოებს ზავის შესაკრავათ, მაგრამ საფრანგეთი და ესპანეთი ისეთ პირობებს უყენებს მას, რომ ყოვლად შეუძლებელი ხდება მისი მიღება, და მოსალოდნელია კვლავ საომარ მოქმედების განახლება. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ საფრანგეთის მთავრობამ პალატას დაამტკიცებია ომის გასაგრძელებლათ ახალი ხარჯთ აღრიცხვა, რომელზედაც სასტიკათ გაილაშქრა კომუნისტ დეპუტატმა—დორიომ.

ცხლახან აჯანყების ცეცხლი მოედო აფრიკის ახალშენებსაც. დეპეშები გვდმოგვცემს, რომ იქ, სომალში გაიგზავნა დიდძალი იტალიის ჯარი. სასულთნო, რომელიც მდებარეობს აბისინიისა და ბრიტანეთის სომალის საზღვარზე, დაკავებულია იმავე იტალიის ჯარებით. აჯანყებულებსა და ჯარებს შორის მოხდა შეტაკება. არის მსხვერპლი ორთავე მხარეს. უკანასკნელად იტყობინებიან, რომ აჯანყებულები დამარცხდენ.

ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობანი, რომელიც ხდება ევროპის სახელმწიფოების ახალშენებსა და აღმოსავლეთის დამონებულ ერებში დიდი მნიშვნელობის მქონეა. თუმცა მათი განუწყვეტელი ბრძოლები ჯერ ხნობით დამარცხებით თავდება იმპერიალისტების უკეთ შეიარაღებულ სამხედრო ძალების მიერ, მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ საბოლოოდ მაინც აღმოსავლეთის ერები გაიმარჯვებენ.

საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების და მისი შემდგენელი ერების გულისყური და თანაგრძნობა ყოველთვის მათ მხარეზე იქნება.

თ. გ.

# ახალი რადიო ამბები

## ბრძოლა სირიაში

ბეირუტიდან მიღებულ ცნობით, სუეიდუცზე შეტევას აწარმოებდა ფრანგების 11 ათასეული. ქალაქს იცავდა 6.000 დრუზი. დრუზებმა ფრანგებს მოუკლეს 80 და დაუჭრეს 270 ჯარის კაცი.

## სისხლის ღვრა სარწმუნოების ნიადაგზე

კალკუტაში, მუსულმანებსა და ინდუსებს შორის უკანასკნელ შეტაკების დროს მოკლულ იქნა 14 და დაიჭრა 50 კაცი.

პოლიციამ ძლივს შესძლო აღედგინა წესრიგი ტყვიამფრქვევების საშუალებით.

მუსულმანებსა და ინდუსებს შორის დიდი ხანია ხდება ხშირი შეტაკებები სარწმუნოების ნიადაგზე.

## ამერიკის ახალი საიმიგრაციო კანონი*)

შეერთებული შტატების საიმიგრაციო ახალი კანონის თანახმად შეერთებულ შტატებში შესვლა ეკრძალებათ ყველა უცხოელებს, რომელთაც გაუტარებიათ ციხეებში ერთ წელიწადზე მეტი.

*) კანონი ამერიკაში გადასახლების შესახებ.

## შტრეზემანის პროტესტი

უნგრეთის ელჩმა პარიზში დიამიდიმ გაზ. „მატენი“-ს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

„გერმანიამ ჟენევაში, ერთა ლიგის სესიაზე მომღიმარი სახე უჩვენა მოკავშირეებს, ხოლო მეორე სახე კი მოიბრუნა გერმანია-საბჭოთა ხელშეკრულებისკენ“.

ამის გამო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტრეზემანმა მიმართა უნგრეთის მთავრობას საპროტესტო განცხადებით.

## გერმანია-საბჭოთა ხელშეკრულების შესახებ

ყველა ინგლისური გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საჭიროა გერმანია-საბჭოთა ხელშეკრულების „კარგად გასინჯვა“.

„ტაიმსი“ სწერს: „ხელშეკრულებამ შესცვალა ევროპის მდგომარეობა აღმოსავლეთში. ამის გამო სახელმწიფოებმა სათანადოდ უნდა გადასინჯონ თავიანთი შეხედულებები ლოკარნოზე“.

ლიბერალურ გაზ. „მანჩესტერ გარდიენის“ აზრით, გერმანიის მთავრობამ ხელშეკრულების მოწერით ჩაიდინა ისეთი რამ, რაც არ ეკადრებოდა ერთა ლიგაში შემსვლელ სახელმწიფოსო“.

„ვესტმინსტერ გაზეთი“-ს აზრით ხელშეკრულება გააძლიერებს დაბრკოლებებს გერმანიის ერთა ლიგაში შესვლის საკითხშიო“.

## რეფორმისტები ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ.

შესდგა ჩეხო-სლოვაკიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყრილობა. კრებას დაესწრო 225 დელეგატი—რეფორმისტები (არარევოლიუციონური პროფკ. დელეგატები). ყრილობის მთავარი საკითხი ეხებოდა ერთიან ფრონტს. ორატორებმა აღნიშნეს ჩეხო-სლოვაკიის მუშათა კლასის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა. ყრილობამ აღნიშნა ერთიანი ფრონტის შექმნის აუცილებლობა და დაადგინა მიმართოს პროლეტარიატს მოწოდებით გაერთიანებისთვის.

რეფორმისტულ ორგანიზაციებმა უკვე მიმართეს სასტიკ ზომებს თავის წევრების წინააღმდეგ, ვინც კი მონაწილეობა მიიღო ყრილობაზე.

## მაისის დღესასწაულის ჩაშლის მიზნით.

1-ლი მაისობის ჩაშლის მიზნით ჩეხო-სლოვაკიის გზათა სამინისტრომ დაუგზავნა ტრამვაის ადმინისტრაციებს ცირკულიარი მოთხოვნილებით, რათა ტრამვაებმა იმუშაონ პირველ მაისს, როგორც ჩვეულებრივ დღეს.

## ფაშისტებმა აკრძალეს 1 მაისი

იტალიის მინისტრთა საბჭომ დაადგინა აკრძალულ იქნას პირველ მაისს ყოველგვარი შეკრება და დემონსტრაციები.

## პოლონეთი ცდილობს

საბჭოთა კავშირსა და ბალტიის სახელმწიფოებს შორის სწარმოებს მოლაპარაკება საუზრუნველყოფო ხელშეკრულების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით პოლონეთი ცდილობს შეუთანხმოს ბალტიის სახელმწიფოების პოლიტიკა თავისას.

## საფრანგეთის და სსრკ-ს სავაჭრო ურთიერთობა

საბჭოთა ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში სავაჭრო წარმომადგენლობის თავმჯდომარემ საფრანგეთში ლომოვსკიმ განაცხადა:

„ჩვენი ვაჭრობის ტრიალი საფრანგეთში საგრძნობლად გაიზარდა. ასე რომ, საბჭოთა კავშირის საჭიროებანი ჩვენი მრეწველობის მოწყობის საქმეში შეიძლება დიდის წარმატებით დაკმაყოფილებულ იქნას საფრანგეთის მიერ.

ვიმედოვნებთ, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენცია უფრო შეუწყობს ხელს ორივე ქვეყნის ეკონომიურ ურთიერთობას“.

## „დღიური“ პოლიციელები

ზოგიერთი გაზეთების ცნობით 1-ლი მაისის მოახლოების გამო ვარშავის პოლიციამ გააძლიერა პოლიცია „დღიურად დაქირავებულთა“ მიღებით. პოლიციაში ღებულობენ იარაღის ხმარების მცოდნესა და ფიზიკურად საკმაოდ ღონიერ პირებს.

## საბჭოთა კავშირში

### ამხ. კამენევი სავაჭრო ბირჟების როლის შესახებ

გაზეთების წარმომადგენლებთან საუბარში საქონლის ბირჟების როლის შესახებ სსრკ-ს შინა ვაჭრობაში, საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. კამენევმა განაცხადა:

„სამწუხაროდ სავაჭრო ბირჟებს არ ჰქონდათ დღემდის აქტივობა. მომავალში ბირჟები უნდა გადაიქცენ სახელმწიფო ორგანოების ძლიერ ბერკეტებად საქონლის ტრიალის მოწესრიგების საქმეში. ეკონომიის რეჟიმი შეთვისებულ უნდა იქნას ბირჟის მუშაკების მიერ და უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში გაძლიერებული ტემპით“.

## ინვალიდების დელეგაციის ჩამოსვლა

28 აპრილს ქ. რეველში ჩამოვიდა ინვალიდების და სამოქალაქო ომის მსხვერპლთა საერთაშორისო გაერთიანების წარმომადგენელთა დელეგაცია.

დელეგაცია 28 აპრილსავე გაემგზავრა მოსკოვში.

## საბანაკო ცხოვრების საკითხები

ბანაკში მეომრები სულ სხვა პირობებში იქნებიან, ვიდრე ქალაქში. ყველა უშუალოდ იქნება დაკავშირებული ბუნებასთან, მზის, ქარისა და წყლის მოქმედებასთან. სხეული გამაგრდება, გაკაჟდება და მომზადდება სალაშქრო და საბრძოლო გარემოებისთვის.

მაგრამ ბანაკს შეუძლია ზიანიც მოუტანოს მეომართა ჯანს, განსაკუთრებით პირველ ხანებში. ბანაკად გასვლისთანავე წითელ არმიელები ხშირად ხდებიან ავად სურდოთი, ხველით რევმატიზმით, ხანდახან ფილტვის ანთებითაც და სხვა. ეს იმიტომ, რომ მეომრის სხეული კიდევ ვერ შეთვისებია უცებ გამოცვლილ ცხოვრების პირობებს.

გაციებისაგან თავის დაცვას ბანაკში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენ ვიცით, რომ „გაციებითი" ავადმყოფობა წარმოსდგება ავადობის გამავრცელებელ მიკრობებისაგან. მაგრამ სხეულის გაციება წარმოადგენს ავადობის ხელშემწყობ პირობას.

როგორ უნდა დავიცვათ თავი გაციებისაგან? 1. როცა გაოფლიანებული ხარ, ტანთ არ უნდა გაიხადო, სანამ წინასწარ არ გაგრილდები.

2. გახურებული სახე და ფეხები არ უნდა დაიბანო ძალიან ცივი წყლით.

3. „გახურებულ გულზე" არ უნდა დალიო ცივი სასმელი. 4. დასვენების დროს არ უნდა დარჩე დასველებულ ტანისამოსსა და ფეხსახვევებში. 5. თუ აუცილებელი არაა გახურებული სხეულით არ უნდა დაწვე ცივ და ნოტიო მიწაზე.

გაციების წინააღმდეგ ბრძოლას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

ლ. გ—ი.

## 1903 წლიანთა შეკრებისთვის

მალე მოუყრიან თავს ორ თვიან შეკრებაზე დაზგას, თოხსა და გუთანზე მომუშავე ახალგაზრდობა.

მოვლენ ყაზარმაში ახალგაზრდები, რომელთა შორის მეტნაწილმა არ იცის ან მცირე იცის წერა-კითხვა, რომლებიც არსად არ მოშორებიან თავიანთ დაზგასა და გუთანს, უმეტეს შემთხვევაში, გზაც კი არ იციან თავიანთი მაზრის და ქალაქის.

მოვლენ წითელი არმიის რიგებში იმ იმედით, რომ შეისწავლიან საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას, გაეცნობიან საბჭოთა კავშირის აღმშენებლობას, გაეცნონ კაპიტალისტურ ქვეყნებში კაპიტალის უღელ ქვეშ შებმულ მუშებისა და გლეხების ცხოვრებას და ბოლოს ისწავლონ წერა-კითხვა და ანგარიში.

შეკრების დროის პერიოდი ძალიან ცოტაა, რაიც ითხოვს მთელი ძალღონის დაჭიმვას.

საბჭოთა რესპუბლიკის თავისუფალ მოქალაქისთვის წერა-კითხვა იგივეა რაც თევზისთვის წყალი.

წერა-კითხვის უცოდინარი ახალწვეული ვერ ისწავლის, თუ როგორ უნდა დაამარცხონ მტერი თანამედროვე განვითარებულ ტეხნიკის პირობებში. მაგრამ წითელი არმიის რიგებში მყოფი ერთგული მუშაკები, მეთაურ-პოლიტ-შემადგენლობა, შესძლებს ამ მოკლე დროიან შეკრების დროს 1903 წ. დაბადებულ ახალწვეულებს მისცეს ერთგვარი ცოდნა. ეს ამოცანა ადვილი არაა, მაგრამ ამის გაკეთება აუცილებელია.

თუ რომ ნაწილის კადრის შემადგენლობა ენერგიულ, შეთანხმებულ მუშაობას აწარმოებს, ჩააბამს აქტიურ მუშაობაში წერა-კითხვის მცოდნეწით. ა. მ. და ჩაატარებს ამნაირად მეცადინეობას სუსტათ მომზადებულ ან სრულიად მოუმზადებელ ახალწვეულთა შორის, ეს დასახული ამოცანა სავსებით გადაჭრილი და ასრულებული იქნება.

ამით ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ სოფლით ჩვენ გვეყოლება საბჭოთა ხელისუფლებისა და კომ-პარტიის ყველა მითითება და დარიგებათა გამტარებელი და მასთან კარგი მეომარი იმ შემთხვევისთვის, როცა საჭირო იქნება ჩვენი მუშურ-გლეხური კავშირის დაცვა.

სამხკორი ნ. გიორგობიანი.

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება
### სადელეგატო კრების შედეგები
(4 ე ლეგიონი)

24 აპრილს ლეგიონის კლუბში გაიხსნა სადელეგატო კრება. წერტებიდან დაესწრენ პარტ-დელეგატები, პოლიტ-განყოფილებიდან ამხ. ბლუაშვილი. სადელეგატო კრებამ ჯამი გაუკეთა 6 თვის მუშაობას. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. ბიურო კოლექტივის მდივნის მოხსენება ა. ლ. კ. კ. ლეგ-ორგანიზატორის თანამოხსენებით.

2. მუშაობის მომავალი ამოცანები.

პირველ საკითხის გარშემო მოხსენებით გამოვიდა ამხ. ტაბუცაძე, რომელმაც დაწვრილებით აღნიშნა ამ ხნის განმავლობაში ბიუროს მუშაობის როგორც მიღწევები, ისე ნაკლი. პარტ-ბიუროს მდივნის მოხსენების შემდეგ გამოვიდა თანამოხსენებით ა. ლ. კ. კ. ლეგ. ორგანიზატორი ამხ. ადამია.

მომხსენებელს მისცეს ბევრი შეკითხვები. შეკითხვების შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღ ს ამხანაგებმა თითქმის ყველა წერტილიდან, რომლებიც აღნიშნავდენ უმთავრესად მუშაობის ნაკლს და იძლეოდენ პრაქტიკულ წინადადებებს მუშაობის გაუმჯობესების მიზნით წერტებზე.

არც ერთი კუნჭული მუშაობისა არ დარჩენილა გაუშუქებელი, როგორიც არის: პარტ-მუშაობის მხარეები, ნაწ... აღმშენებლობის საკითხები, მნეო მუშაობა, საკლუბო ... შაობა, ცვალებადთა და ... ვამდელთა მუშაობა და სხვ...

კამათის დამთავრების ... დეგ მომავალი მუშაობის ... ცანებზე საფუძვლიანი და ... ნაარსიანი მოხსენება გაა... ამხ. ბლუაშვილმა, რომ... მაც აღნიშნა მუშაობის ნა... უმთავრესათ საერთოდ ... ზიის ფარგლებში მდგომ ... წილებში, კერძოდ კი მე-4 ... გიონში და მიუთითა გზე... რომლის საშუალებით შეიძ... ბა ნაკლის გამოსწორება და ... შაობის ასი პროცენტით ... რულება. მოხსენებათა დამ... რების შემდეგ მიღებულ ... რეზოლიუცია პარტ-ბიუ... მუშაობის გარშემო. მუშ... ცნობილ იქნა დამაკმაყო... ლებლად, დეფექტების აღნ... ვნით და პრაქტიკულ წინა... დებების შეტანით.

მოხდა აგრეთვე პარტ-ბ... როს არჩევნები, სადაც ა... ულ იქნენ აგრეთვე ცვალ... დებულებიც.

სადელეგატო კრება გა... ძელდა ორი დღე.

საერთოდ სადელეგატო ... ბის მუშაობა მეტად ნაყო... რი იყო, რომელმაც გამო... ვია და გააშუქა მთელი მ... ნეული საკითხები.

სამხკორი დან...

ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ,
გაავრცელეთ თქვენი გაზეთი
„წითელი არმიელი"

## საქართველოში.
### სანერგე ჩაის პლანტაციები.

„საქართველოს ჩაის" სააქციონერო საზოგადოება შეუდგა გალისა და კოდორის მაზრებში სამი სანერგელი ჩაის პლანტაციის შენებას.

### საველდებულო დაზღვევა

კოდორის საბჭოთა სამაზრო ყრილობამ დაადგინა შემოიღოს მაზრის ყველა სოფლებში სავალდებულო დაზღვევა ცეცხლისა და სეტყვისაგან.

### თამბაქოები

მიმდინარე წელს ზუგდიდის მაზრაში ჩატარებულ იქნა ორი თათბირი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატორთა, მეთამბაქოეთა და მებამბეთა—წარმოკავშირისა და საქართველოს ბამბკომთან ერთად. თანახმად თათბირის მიერ მიღებულ გეგმისა, მაზრაში განზრახულია დარგულ იქნას თამბაქო 1350 დესეტინის რაოდენობით, რაც აღემატება გასული წლის მოედანს 90 პროცენტით. გადაწყდა აგრეთვე ბამბის დათესვა 1.250 დესეტინის რაოდენობით, რაც აღემატება გასული წლის მოედანს 19 პროცენტით.

## ჩვენი სოფლის საჭირბოროტო საკითხები*)

მთავარი პირობა ჩვენი სოფლის მეურნეობის ნაყოფიერებისა არის საკითხი ელექტროფიკაციის შესახებ. ჩვენს პირობებში ამ საკითხს კიდევ მეტი მნიშვნელობა ეძლევა ვიდრე სხვა ქვეყნებში. ელექტრულ ენერგიის გამოყენებას ჩვენი სოფლის მეურნეობაში შეუძლია მოახდინოს მთელი რევოლიუცია. ამით აიხსნება ის მდგომარეობა, რომ ლენინი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა ელექტროფიკაციის საკითხს. აი რას ლაპარაკობდა ლენინი ჯერ კიდევ 1921 წ. „შეიძლება თუ არა უშუალოდ გადასვლა ასეთ მდგომარეობიდან (მხედველობაში ქონდა რუსეთის პატრიარქალური წყობა ვ. ბ.) სოციალიზმში? შეიძლება მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში, მხოლოდ ერთი პირობით, რომელიც ჩვენ ვიცით ერთი მეტად დიდ დამთავრებულ მეცნიერულ მუშაობის საშუალებით. ეს პირობა—ელექტროფიკაციაა. თუ ჩვენ ავაშენებთ ათეულ რაიონულ ელექტრულ სადგურებს (ჩვენ ახლა კარგად ვიცით სად და როგორ შეიძლება და უნდა ავაშენოთ ისინი), თუ მათგან ძალას გადავიყვანთ თვითეულ სოფელში, თუ ჩვენ შევიძენთ საკმაო რიცხვს ელექტრო მოტორებისას და სხვა მანქანებისას, მაშინ აღარ იქნება საჭირო გარდამავალ საფეხურები, საშუალო რგოლები გადასასვლელათ პატრიარქალურ წყობიდან სოციალიზმში".

ეს აზრი უდევს საფუძვლად ჩვენს საქმიანობას ამ სფეროში. ჩვენი გლეხი, განსაკუთრებით საქართველოში, რომელიც ცხოვრობს ბოსელში და თვალები გაფუჭებული აქვს შუა ცეცხლის კვამლით, რომელსაც არ შეუძლია ღამით თავის ძალის გამოყენება, რომელსაც მთელ ძალღონეს ართმევს ის საშინელი თოხი, რომელსაც ის ურტყამს მიწას, ყველაფერი ეს აცილებული იქნება მაშინ, თუ ჩვენ შევსძლებთ სოფელს მივსცეთ იაფფასიანი ენერგია და სინათლე. ლენინი სხვა დროს კიდეც იტყოდა: კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება მიუმატოთ ელექტროფიკაციით. სწორედ ეს აზრი ქონდა ყრილობას, როდესაც ის ლაპარაკობდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ. რა არის ამ მხრივ გაკეთებული მთელ კავშირში საერთოდ და კერძოდ ჩვენში.

1 იანვ. 1917 წ. იყო 103 სადგური 3.833 კილოვ. სიძლიერის.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 იანვ. | | სადგ. | | კილვ. | |
| „ 1918 წ. | „ | 108 | „ | 3.913 | „ „ |
| „ 1919 წ. | „ | 117 | „ | 4.049 | „ „ |
| 1920 წ. | „ | 137 | „ | 4.462 | „ „ |
| „ 1921 წ. | „ | 234 | „ | 5.821 | „ „ |
| „ 1922 წ. | „ | 312 | „ | 6.813 | „ „ |
| „ 1923 წ. | „ | 325 | „ | 7.140 | „ „ |
| „ 1924 წ. | „ | 401 | „ | 8.224 | „ „ |

ეს ციფრები ნათლად ამტკიცებენ იმ დებულებას, რომ ელექტროფიკაციის საქმე ჩვენში უეჭველად ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ. 1 იანვარს 1924 წ. მთელ ს.ს.რ.კ. სინათლე ქონდა 30.925 მეურნეობას 46.950 ელექტრულ მუშებით. ეს ნიშნავს დიდ ნაბიჯს. თუ ავიღებთ საქართველოს ამ წელში უნდა დასრულდეს ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრულ სადგურის შენება, რომელმაც უნდა მისცეს ენერგია მთელ ტფილისსა და მახლობელ მიდამოებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი გლეხი დააღწევს თავს იმ საოცარ ბნელ მდგომარეობას, რომელშიდაც ის კიდევ იმყოფება.

ელექტრულ ენერგიის გამოყენება მით უფრო შესაძლებელი ხდება მეურნეობაში რაც უფრო მეტად სხვილია მეურნეობა და რაც უფრო მეტია ის სივრცე რომელსაც მეურნე ამუშავებს. ცხადია ჩვენ მემამულეებს ვერ დაუბრუნებთ უკან მიწებს. გლეხმა მიწა მიიღო, როგორც ოქტომბრის მონაპოვარი. მაგრამ, რომ მეურნეობა ინტენსიურად წავიყვანოთ და ამავე დროს არ ავსცდეთ სოციალიზმის შენების ზრდას სოფლად საჭიროა ხელი შევუწყოთ კოლექტიურ მეურნეობათა გაძლიერებას, გაძლიერებას საბჭოთა მეურნეობისა, რომლებიც ეკონომიური დასაყრდენია სოფლად. სოციალიზმის შენებისათვის. თუ ჩვენ შევსძლებთ გლეხური მეურნეობის დიდი ნაწილის კოლექტიურ მეურნეობაში მოქცევას ამით ნახევრად გაკეთებული იქნება სოციალიზმის საქმე. საჭიროა ულარიბესი გლეხობა იქნას ჩაბმული ამ კოლექტიურ მეურნეობაში, რომ მან ეკონომიურად შესძლოს ბოლოლა გლეხის გამაგრება, რომ საერთო ეკონომიური ძალით მან მოსპოს კულაკის ბატონობა და გავლენა სოფლად. ასე უყურებდა ყრილობა ამ საკითხს, რომელმაც თავის დადგენილებაში აღნიშნა საჭიროება ულარიბესი გლეხობის ორგანიზაციის სამიწათმოქმედო ამხანაგობებში, კოოპერატივებში, კოლექტიურ მეურნეობაში და სხვა ამხანაგობებში.

ამ მხრივ რომ დავაკვირდეთ ციფრებს დავინახავთ შემდეგს: ამ ჟამად მთელ კავშირში რაოდენობა კოლექტიურ მეურნეობისამ მიაღწია 22 000. პირველ იანვრიდან 1 ივლისამდე მოემატა 3.868 კოლექტივი. მთლად კოლექტიურ მეურნეობას უჭირავს 3 მილიონი დესეტინა მიწის 1 მილიონი სულით. თუ დაუკვირდებით სოციალურ მდგომარეობას კოლექტიურ მეურნეობაში შემავალ წევრებისას დავინახავთ, რომ 60 პროც. მეურნეობაში შემავალ წევრებისას წარმოადგენს ულარიბესი გლეხობა, მხოლოდ 25—40 პროც. საშუალო გლეხობა. გლეხების პროც. კოლექტიურ მეურნეობაში იყო 1921 წ. 72, 1925 წ. ის აღწევს 80 პროც. ყველაფერი ეს ამტკიცებს იმ დებულებას, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკა სოფლად თავიდან ბოლომდე სწორია და რომ ჩვენ სოფლად ვიზრდებით სოციალიზმის გზით. საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს კოლექტიურ მეურნეობას, რომელიც გამოიხატება მასში, რომ მათ ეძლევათ გრძელ ვადიანი სესხი მანქანებისა და ინტენ... ურ მეურნეობის საწარმო... ლად და აგრეთვე სხვა და... რება. თანახმად 1925 წ. ... რეტისა სასოფლო-სამეურ... გადასახადის შესახებ კოლექ... ურ მეურნეობანი თავისუფ... დებიან ასეთ გადასახადისაგ...

საერთოდ როდესაც გად... ხადზეა ლაპარაკი, ჩვენი მტ... ბი ყოველთვის იყენებენ გ... ხ ბის უკმაყოფილებას და ს... ლობენ ჩვენი ხელისუფლ... ავტორიტეტი სასტიკად ... ცენ. ამ შემთხვევაში ისინი ... ველთვის ამტკიცებენ, რომ ... ჭოთა ხელისუფლების დ... გადასახადი უფრო მეტია, ... რე ეს იყო მეფის ხელის... ლების დროს. საკმარისია ... საწინააღმდეგოდ მოვიყვან... ციფრები:

მთელი გადასახადი ს... ლის ერთ სულ მოსახლ... იყო:

| | |
|---|---|
| 1912—13 წ. | 11 მ. 8... |
| 1921—22 წ. | 5 მ. 2... |
| 1922—23 წ. | 6 მ. 6... |
| 1923—24 წ. | 5 მ. 1... |

1925/26 წლისთვის მთე... გადასახადი შემცირებულია ... მილიონი მან., რაც არსებ... შეამცირებს გადასახადს ... თეულ სულ სოფლის მც... რებზე.

—ლია...

*) იხ. ჩვენი გაზეთი № 93 (1088)

# დღეს ცხენოსანი ლეგიონის არსებობის 5 წლის თავია! ჩვენი მხედრული სალამი მას!

## მ ი ლ ო ც ვ ე ბ ი

მხედრული სალამი ქართულ ცხენოსან ლეგიონის წითელარმ ელთ და მეთაურთა შემადგენლობას ლეგიონის არსებობის მე-5 წლის თავზე.

განვლილი ხუთი წელი მოწამეა ენერგიული მუშაობის ლეგიონის საბრძოლო უნარის გასამტკიცებლად.

მომავალში საჭიროა ამ მუშაობის გაათქეცება ლეგიონის გასაძლიერებლად ყოველ მხრივ.

მე-2 ქართ. მხრ. დივიზიის უფროსი და
სამხედრო კომისარი ალნიაშვილი.
შტაბის უფროსი გედევანიშვილი.

მე-2 ქართ. მხრ. დივიზიის პოლიტ-განყოფილება მხურვალეთ ესალმება ქართულ ცხენოსან ლეგიონს მისი არსებობის ხუთი წლის თავზე.

ქართულ ცხენოსან ლეგიონი ამ ხნის განმავლობაში მტკიცედ იდგა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე და თავდადებით იცავდა მშრომელთა მონაპოვარს.

პოლიტ-განყოფილება ესალმება რა ლეგიონის მთელ შემადგენლობას, მოუწოდებს მას გააძლიეროს სამხედრო და პოლიტიკური სწავლება, რაც თავდებია წითელი ჯარის სიძლიერის.

მე 2 ქართ. მხრ. დივიზიის პოლიტ-განყოფილება.

## ხუთი წლის თავზედ

დღეს ქართული ცხენოსანი ლეგიონი ზეიმობს თავისი არსებობის, ბრძოლის და მუშაობის 5 წლის თავს.

1921 წელს 23 მარტს მენშევიკების უკუქცევის დროს, უკანდახეულ ცხენოსან ნაწილებიდგან ძაბა ქობულეთში შესდგა მე-2 ქართ. ცხენ. ლე-



ცხენ. ლეგიონის სამხედრო კომისარი ამხ. ქაჯაია.

გიონი, რომელიც შედის მე-18 ცხენოსან დივიზიის მეთაურს ამხ. ელოშის განკარგულებაში.

შემდეგ ლეგიონი გადადის ქალ. ტფილისში და 19 აპრილს ბანაკდება ორთაჭალაში (ტფილისი) ყოფილ გვარდიელთა ყაზარმებში. ლეგიონი აქ შედის მ. გ. წითელ ცხენოსან ბრიგადის შემადგენლობაში და ბრიგადისადმი 1921 წ. 5 მაისს № 6 ბრძანების თანახმად მას ეწოდა 1-ლი საბჭოთა ქართული ცხენოსანი ლეგიონი. აქედგან 8 მაისს ჩვენი ლეგიონი ბანაკდება სოფ. ყვირილაში და აქვე იწყება გაორკეცებული მუშაობა: სწარმოებს სამწყობრო მეცადინეობა და კულტგანმანათლებელი მუშაობა, ეწყობა კლუბი, იმართება კრებები უპარტიო გლეხებთან და საზოგადოთ ლეგიონი ადგება გაჯანსაღების გზას. მაგრამ ლეგიონი უხერხულ მდგომარეობაში ვარდება სურსათ-სანოვაგის და საცვლების უქონლობის გამო, რაც წით. არმიელთა შორის ავრცელებს პარტახიან სენს და ცხენების შემადგენლობაში თავს იჩენს ქეცი, მუნი, ქოთაო და სხვა სნეულებანი, ამის გამო ლეგიონი გადადის თუქურმიშაში; მაგრამ აქაც მიუდგომელი ტალახიანი გზები აბრკოლებდენ სურსათ-სანოვაგის და საკვების გადმოზიდვას.

1922 წ. 4 თებერვალს ჩვენი ლეგიონი გადაკეთებული იქნა მუშურ-გლეხურ ქართულ ცხენოსან ლეგიონათ და ამავე წლის 28 თებერვალს გადმოდის ქალ. ტფილისში და ბანაკდება ნავთლუღში. აქ ორ მარტს ისევ გადაკეთდა ცალკე სამოსწავლო საძირითადო ესკადრონ თ. 3 ოქტომბერს ესკადრონი ისევ იშლება ლეგიონათ და ბინის სივიწროვის გამო ის გადადის ყოფილ ვეტლიზარეთის შენობაში (ცხლოვანი ბინა) და აქ ასრულებს თავის შედგენას და ჩამოყალიბებას.

აქედან გაცხოველდა ლეგიონში მუშაობა, ხდება შენობის შეკეთება და გადაკეთება, კლუბის და თავლების მოწყობა, იწყება პარტ-პოლიტ განმანათლებელი მუშაობა და სწარმოებს ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა ამ დროს ჩვენს ლეგიონს ემატება ახალი ძალა, სკოლიდან ახლად გამოშვებული კურსანტების სახით.

ამავე წელს ლეგიონი მონაწილეობას ღებულობს ბანდიტების წინააღმდეგ ოზურგეთსა და სიღნაღის მაზრებში, სადაც მან დაამტკიცა თავისი ერთგულება მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისადმი.

1923 წ. ლეგიონი ღებულობს ახალ ცხენებს და იწყება ცხენოსანი მეცადინეობა. ამავე წლიდან ჩვენი ლეგიონი კავშირს აბამს საპონ-ზეთის ტრესტის მუშებთან. ხდება წერა-კითხვის უცოდინარ წითელ არმიელთა ლიკვიდაცია.

1924 წ. აგვისტოში ჩვენი ლეგიონი მონაწილეობას იღებს მენშევიკების ავანტიურის წინააღმდეგ. მან სასტიკათ დაამარცხა იგი და სასახელოთ შეასრულა თავის მოვალეობა.

1926 წ. ლეგიონი უკვე უზრუნველყოფილია, როგორც ტანისამოსით, ისე სასმელ-საჭმელისა და ცხენების მხრივ. ამავე წელს ჩვენს ლეგიონში დაარსებულია სკოლა, სადაც მოკლე ხანში გამოვლენ მომზადებული უმცროსი მეთაურები და უფრო განამტკიცებენ ჩვენს რიგებს.

დღეს, ხუთი წლის თავზედ, ჩვენი ლეგიონი ყოველმხრივ განმტკიცებულია და თამამად შეუძლია იამაყოს, რომ წარმოადგენს ნამდვილ მებრძოლ ერთეულს.

იგი მზათ არის მშრომელთა პირველი დაძახებისთანავე ეკვეთოს მტერს და მტკიცეთ დაიცვას მუშურ-გლეხური სახელმწიფო.

ი. ეფრემიძე.

## 5 წლის თავს სრულიად გაჯანსაღებული ვხვდებით.

თავისი ხუთი წლის არსებობის თავზე ცხენოსან ლეგიონს შეუძლია იამაყოს თავისი მიღწევებით. მთელი ამ ხნის განმავლობაში წარმოებული მუშაობით მან თითქმის მიაღწია დასახულ მიზანს.

ყოველგვარი დაბრკოლებები, რომლებიც კი ხელს უშლიდენ მის განვითარებას, ამ ჟამად გადალახულია. ლეგიონმა შესძლო საკუთარი უმცროს მეთაურთა სკოლის დაარსება, რომელშიდაც ღებულობენ ცოდნას 50 კაცი.

წითელ მოლაშქრეები დაკმაყოფილებულნი არიან ყოველმხრივად, როგორც ტანსაცმელისა და სანოვაგის კმაყოფით, ისე სამხე-



ცხენოსანი ლეგიონის უფროსი
ამხ. მაყაშვილი.

დრო სპეც იარაღებითა და ცხენებით. მეცადინეობა მიმდინარეობდა სისტემატიურად და გეგმიანათ. წითელ მოლაშქრეები დავიდანვე დაინტერესებული იყვენ სამხედრო საქმით და ეს ინტერესი ეხლაც გაცხოველებულია მათში.

ნაწილში დაარსებულია სხვა და სხვა საგანმანათლებლო წრეები, რომლებშიდაც დიდი სიხარულით ეწერებიან წითელ არმიელები და ეწევიან კულტურულ ხასიათის მუშაობას.

ლეგიონში დიდი ყურადღება ექცეოდა ცხენებზე ვარჯიშობის საქმეს, რამაც საგრძნობი მიღწევების წინაშე დაგვაყენა. დღეს ნაწილის ხუთი წლის თავზე საქვეყნოთ გამოვიტანთ ამ მიღწევებს.



ქართული ცხენ. ლეგიონის მეთაურთა შემადგენლობა.

დღეს გაიმართება ლეგიონში შეჯიბრი ცხენებზე ვარჯიშობაში. მონაწილეობას მიიღებენ, როგორც წითელ არმიელები და მეთაურები, ისე სკოლის კურსანტებიც.

ამ ჟამად ლეგიონში არ მოიპოება არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი წითელ არმიელი. უცოდინარეობის ლიკვიდაცია ასე წარმატებით დამთავრდა ჩვენთან.

5 წლის თავს ლეგიონი სრულიად გაჯანსალებული და მომზადებული ხვდება, რაშიდაც დიდი ღვაწლი მუძღვის მის ხელმძღვანელებს და საბჭოთა ხელისუფლებას.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

## ჩხვლეტები

### აქა იმაზედ, თუ როგორ უნდა სწეროს სამხკორმა.

„ამხანაგო რედაქტორო, გიგზავნი რა ამასთანავე ერთად წერილს ჩვენი უჯრედის ცხოვრებაზე, გთხოვთ შეასწოროთ და მოათავსოთ წითელარმიელის გაზეთში"—ასე იწყება ყოველივე კორესპონდენცია.

კეთილი და პატიოსანი! შესწორებაც შეიძლება და დაბეჭვდაც. მაგრამ, აბა ყური დაუგდეთ:

> „23 აპრილს შესდგა № ესკადრონის დახურული კრება. თავმჯდომარეობდა ამხ. ხ—ია. მდივნობდა ს—უა. კრებას დაესწრო პარტწევრი და კანდიდატი 9 კაცი.
>
> მოხსენებით იქნა გაშუქებული: 1) კლასთა პარტიის ურთიერთ შორის, რაზედაც ვრცლად აღინიშნა ყოველივე თუ რა პირობებში და როგორი პოლიტიკური მუშაობა სწარმოებს თვით საბჭოთა ტერიტორიაზე".

რას იტყვი მკითხველო, ძალიან კარგაა დაწერილი.

ისმინე, სამხკორო!

არ გვინდა შენი თავმჯდომარე, არ გვინდა მდივნებიც. ვიცით, კარგათ ვიცით, რომ ყოველ კრებას აუცილებლად ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი. ვიცით ისიც, რომ ყოველ კრებას აქვს დღის წესრიგი. შენ, სამხკორო, ის გვითხარი, რას აკეთებთ კრებაზე, როგორ ითვისებთ კრებაზე თქმულს და გაგონილს, თვითონ შენ, სამხკორო, რა მონაწილეობას იღებ მუშაობაში, როგორ ეხმარები იმას, ვინც კარგათ ვერ იგნებს ნალაპარაკევს.

სამხკორო, გვითხარი როგორია დღის წესრიგი: სძლია თუ ავათმყოფი, აკმაყოფილებს თუ არა უჯრედის წევრებს. აი, რაზე უნდა სწერო.

მერე:

> „შეკითხვები მოხსენების ირგვლივ მრავალი სწარმოებდა, რაზედაც ვრცლად გასცა პასუხი. საერთოთ მოხსენება კრებამ სცნო ცნობათ და სახელმძღვანელოდ.
>
> 2· მოხსენება უჯრედის წარსულ მუშაობის ირგვლივ, თუ როგორ სწორ ხაზზე უმუშავია".

მერე პასუხი ვრცელი, კარგი იყო? რატომ არ გვეუბნები რათ იყო სწორე ხაზი? იქნებ არ იყო ხაზი სწორე? რატომ არ ამბობ, რა გაკეთდა წარსულში თვალსაჩინო, რისთვის გვიმალავ? იქნებ ჩვენც მოგვბაძოთ და ვისწავლოთ მუშაობა.

> „მესამე საკითხი მომავალ მუშაობის შესახებ და მის პერსპექტივებზე და აგრეთვე ბიუროს წევრების არჩევა".

დიდი დანაშაული მიგიძღვის სამხკორო! ძალიან დიდი. სდუმხარ მაშინ, როდესაც შენი კალამი უნდა გაცხოველებით მუშაობდეს.

მომავალი მუშაობა.

და ამაზედ თუ რა პერსპექტივებია, შენ სდუმხარ, არ გვეუბნები რა დაისახეთ შემდეგისათვის.

არა, სამხკორო, ასე წერა არ შეიძლება.

ელეაზარი.

## 1-ლ მაისს მომზადებული ვხვდებით

1-ლი ლეგიონი.

პირველი მაისის დღესასწაულის ჩატარებისათვის ლეგიონში კარგა ხანია დაიწყო მზადება. ლეგიონის სამხკომმა და ბიურო კოლექტივმაგამო ჰყვეს კომისია, რომელსაც დაევალა დღესასწაულის ჩატარება. მან უკვე გამოიმუშავა სათანადო გეგმა კამპანიის ჩატარებისათვის. სადღესასწაულო სამზადისი დაიწყო 15 აპრილიდან. ასეულებში განუწყვეტლივ ტარდება საუბრები დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ.

სამხკორი ი—ლი.

## ჩვენი წრეები.

1-ლი ლეგიონი

ლეგიონში ამჟამად არსებობს 9 წრე, რომლებიც სისტემატიურად აწარმოებს მუშაობას და ასრულებენ დასახულ ამოცანებს.

საწრეო მუშაობას ხელმძღვანელობას უწევს კლუბი და ბიურო-კოლექტივი.

ლიტ-წრეში შედის 100 კაცი და გაყოფილია ორ ნაწილად: პოლიტ-წრე აერთიანებს 50 წევრს, სამხკორთა წრე 61 წევრს, სპორტ-წრეში 32 წევრი, დრამ-წრეში 25 წევრი, საერთო განათლების წრეში 35 წევრი, სამხედრო წრეში 75 წევრი და მომღერალთა წრეში 27 წევრი.

გარდა ამისა ასეულებში ჩამოყალიბებულია სამხედრო და სხვა წრეები, რომლებიც სისტემატიურად მეცადინეობენ.

აღნიშნული წრეების მუშაობა დიდათ გვიწყობს ხელს მასიურ მუშაობის ჩატარებაში უპარტიოთა შორის. წრეებს ყავს სათანადო ხელმძღვანელები. სამხკომის და ბიურო კოლექტივის საერთო ხელმძღვანელობით მათი მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

წრეების საშვალებით კლუბი აწარმოებს სკოლის გარეშე მუშაობას. გარდა ამისა ლეგიონის ლენკუთხეებში შექმნილია ჯგუფები, სადაც შედიან 13-13 წევრი.

სამხკორი ს. იმნაიშვილი.

## ხშირად არიან წითელ არმიელებთან.

მე-2 ლეგიონი

ლეგიონში კარგ ნიადაგზე დგას როგორც სამხედრო, ისე პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა. უმთავრესად მეტად უწყობენ ხელს [illegible] ლეგიონის სამხკომში და უფროსი. ისინი ხშირად არიან წითელ არმიელების შორის და ესაუბრებიან მათ სხვა და სხვა საჭირბოროტო და ამასთანავე სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებზე, რითაც დიდ დაინტერესებას იწვევენ წითელ არმიელებში, რომლებიც გულმოდგინეთ სწავლობენ ყველა მათ მიერ მითითებულ საკითხებს.

საერთოდ ლეგიონის მესვეურები ამხანაგურ განწყობილებაში არიან მოლაშქრეებთან. ხშირად ღებულობენ მათთან მონაწილეობას ბურთის თამაშში და სხვა გასართობებში.

სამხკორი ვ. ლ—ძე

## ვაწყობთ ბანაკს

მე-2 ლეგიონის მე-9 ასეული ენერგიულ მუშაობას აწარმოებს ლეგიონისათვის ბანაკის მოსაწყობათ. მიუხედავად სხვა და სხვა ხელის შემშლელი პირობებისა და ზოგიერთ ტეხნიკურ იარაღების უქონლობისა, ჩვენ მაინც შეცსძელით დავალებული საქმის დიდი ნაწილის სისრულეში მოყვანა. კიდევ რამოდენიმე დღე და საბანაკო ადგილას კარვების დადგმის მეტი არა იქნება რა საჭირო.

უკვე მოვასწორეთ საცხოვრებელი ადგილი. გავიყვანეთ გზები და სხვა. წითელ არმიელები თავს არ იზოგავენ, რათა პირნათლად შეასრულონ დავალებული საქმე და მომზადებული დახვდენ ლეგიონს.

სამხკორი ხვანიშვილი.

## წყალდიდობასთან ბრძოლა

დასავლეთ საქართველოდან მიღებული ცნობებით ამჟამად ზოგიერთ მაზრებში წყალდიდობა საშიშ ხასიათს ღებულობს.

რიონი, ცხენის წყალი, სუფსა, ტეხური, ენგური და სხვა საგრძნობლათ ადიდდენ და წალეკვით ემუქრებიან სოფლებს და ნათესებს.

მდ. ცხენის წყალმა უკვე დააზიანა სოფ. ონტოფო და ლეხაინდრაო.

მდინარეების მოსალოდნელ ადიდებით გამოწვეულ საშიშროების თავიდან ასაცილებლათ მთავრობის განკარგულებით მაზრებში და ქალაქებში მოეწყო საგანგებო სადარაჯო კომისიები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ მდინარის დონეების აწევას და ამის შესახებ (საშიშროების შემთხვევაში) წინასწარ აცნობებენ მცხოვრებთ.

ზევრგან ამ მიზნით დაწყებულია მდინარეთა ნაპირების გამაგრება. სოფლებში კი გლეხები თავის ნებით გამოდიან და მუშაობენ მდინარეების ნაპირების გასამაგრებლათ იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია წყალის გადმოვარდნა.

თფილისში წყალდიდობა ემუქრება წალეკვით რიყის რაიონს.

## სამხედრო მეცადინეობა ჩვენთან

1-ლი დივ. საარტილერ ო ლეგიონი

უკანასკნელ ხანებში სამხედრო მეცადინეობა წ. არმიელებთან გაუმჯობესდა, მაგრამ მაინც ახლავს ნაკლი. თუმცა წინა მეცადინეობასთან შედარებით ჩვენს ნაწილებს ამ დარგში უდიდესი მიღწევები აქვს, რასაც მოწმობს ის, რომ დღეს წ. არმიელებმა უფრო მეტი იციან ბანაკში გასვლის დროს ვიდრე შარშანდელ გამოწვევის დროს.

მიუხედავათ მრავალი მიღწევებისა მაინც საჭიროა საშვალო მეთაურებმა მეცადინეობის კარგათ ჩატარების მიზნით, წინასწარ მოახდინონ ჩასატარებელ თემის კონსპექტის შედგენა. კონსპექტის შედგენა ჯერ ერთი იმით არის კარგი, რომ მეთაურს ამით საშვალება მიეცემა დავიწყებული ადგილები აღადგინოს მეხსიერებაში და კარგათ შეუდგეს მეცადინეობის დროს თემის ძირეულად გაშუქებას. მეორეს მხრივ კი ჩატარებულ თემის განსაზღვრულ კალაპოტს იძლევა კონსპექტი, თუ რა ფარგლებში უნდა იქნეს ახსნილი და განმარტებული; მესამედ—კონსპექტი მეთაურს დახმარებას გაუწევს და მოაგონებს ყოველთვის იმას, თუ როგორი თვალსაჩინო საგნები შეიძლება გამოყენებულ იქნას მეცადინეობის დროს და სხვა.

განსაკუთრებით წინასწარი მზადებაც არის საჭირო უმცროს მეთაურთა სკოლაში მეთაურების მიერ, ვინაიდან რამოდენიმე თვის შემდეგ უმცროს მეთაურებათ უნდა დაუბრუნდეს ნაწილის წითელ არმიელებს. კონსპექტის შედგენით თუ დაიწყება მეცადინეობა მეთაურების მიერ ბატარეებში, განსაკუთრებით კი სკოლაში და კონსპექტს მიეცემა მეთოდიური ხასიათი, აუცილებლად კიდევ უფრო მეტად გადიდდება სამხედრო ცოდნის შეთვისების საქმე წ. არმიელების მიერ.

სამხკორი ტ. მამ ლაძე.

## უცხოეთის არმიებში

### როგორ წვრთნიან პოლონელ ჯარის კაცს.

**ლონიერი და მოქნილი**

პოლონეთის არმიის მთელი სწავლების საფუძველს წარმოადგენს თითეული ჯარის კაცის ცალკეულად მომზადება იმ მიზნით, რომ შექმნან მისგან სამაგალითო მხედარი. პოლონეთის ყველა სამხედრო უსტავები მოითხოვენ გაძლიერებულ ფიზიკურ განვითარებას და ჯარის კაცის მორალურად აღზრდას.

სამწყობრო მომზადებაში შეკვეთილ მწყობრი განდევნილია. საბრძოლო მომზადების დროს ყოველგვარი ტაქტიკური მეცადინეობა სწარმოებს ომის დროის ნაწილების შემადგენლობაში, რისთვისაც ნაწილები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ მეცადინეობაში, ივსებიან ომიანობის დროის შტატამდე იმ ნაწილებიდან, რომლებიც არ ღებულობენ მონაწილეობას მეცადინეობაში.

**ერთმანეთი შესცვალეთ**

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გადასვლების გაძლიერებასა და ღამით ბრძოლის წარმოების საქმეს. მკაცრად მოითხოვენ თითეული ჯარის კაცისაგან ხელის ტყვიამფრქვევის ხმარების ცოდნას. თითეულ ტყვიამფრქვევზე მომუშავემ კი უნდა იცოდეს პოლკის იარაღებთან ნომრების მოვალეობა. მეორე მხრივ რიგის არტილერისტს თამამად უნდა შეეძლოს ხიშტის მოხმარა, გრანატის და ტყვიამფრქვევის გამოყენება.

მთელი მეცადინეობა უნდა ტარდებოდეს ყველასათვის თვალსაჩინოთ. ნახაზებზე მეცადინეობა მატერიალური ნაწილების გავლის დროს აკრძალულია.

**მთავარი—იერიში**

მომზადების საფუძველს წარმოადგენს იერიშზე გადასვლითი მოქმედება. ქვეითი ჯარის ცეცხლი—ერთი საშვალებაა წარმატების მისაღწევად, უმთავრესი კი მდგომარეობს ქვეითი ჯარის ენერგიულად და შეუჩერებლივ წინსვლაში, რომელსაც გვერდში უდგია ჯარის სხვა სახის ნაწილებიც.

საერთოდ ჯარის კაცის აღზრდას საფუძვლად უნდა ედოს მასში შეტევაზე გადასვლის უნარის გამომუშავება. ცეცხლი მხოლოდ გზას უკაფავს ქვეითა ნაწილებს მოწინაამდეგის სანგრებისაკენ—ხოლო გამარჯვებას აგვირგვინებს—იერიში და ხელჩართული ბრძოლა. მხოლოდ ჩქარი, შეუჩერებელი მოძრაობა და მჭიდრო რიგებით დაკვრა იძლევა გამარჯვებას.

ცეცხლის გაშვების დროს უმთავრესია ტყვიამფრქვევის ცეცხლი; ამიტომ თოფით შეიარაღებულ გუნდებს ევალებათ იდგენ ტყვიამფრქვევით მომქმედი ნაწილების საფრად.

თოფით სროლა კი აღწევს მიზანს მცირე დისტანციებზე. შემდეგი მოძრაობის დროს ოცეულები გადადიან შეტევაზე მოწინააღმდეგის სანგრებისაკენ, წინასწარ შაშხანებისა და ხელის ყუმბარების სანგრებში გადასვრით.

**მოქმედება ველში**

შეტევაზე გადასვლის დროს ქვეითი ჯარი მიიწევს წინ გადარბენით—საფარიდან-საფრამდე. ამნაირად რაც შეიძლება უახლოვდებიან მტერს და შემდეგ ქვეითი ჯარის მთელი ცეცხლი საშინელებათ უნდა დაატყდეს მტერს თავს.

ჯარის კაცების მეცადინეობის დროს უმთავრესი ყურადღება ექცევა მის საველე მომზადებას. შინაური და საგარნიზონო სამსახურს მცირე დრო აქვს დათმობილი. პროგრამაში უმთავრესი ნაწილებია: საბრძოლო მეცადინეობა, საველე სამსახური და სროლის საქმე.

## სცხოვრობენ თუ არა ადამიანები ჩრდილოეთ პოლიუსზე?

ამუნდსენი გვიპასუხებს, რომ „სცხოვრობენო“.

ჩვეულებრივად ფიქრობენ, რომ ჩრდილოეთის პოლიუსი წარმოადგენს წყლით მოცულ უზარმაზარ ცენტრს—ჩრდ. ამერიკის (კანადა და ალიასკა), გრენლანდიისა და ციმბირის სანაპიროებს შორით. ეს სივრცე დაფარულია ყინულის და იქ შეუძლებელია იცხოვროს ადამიანმა. ნაწილობრივათ ეს მართალია. გასულ წელს ამუნდსენმა შესძლო გადაფრენა პოლიარული ოკეანისკენ. მან გაავლო 1000 მილი (1 მილი უდრის 2 კილომეტრს) და მთელი ამ მანძილის სივრცეზე ორი ზღვის ძაღლისა და ერთი ფრინველის მეტი არა უნახავს რა.

მაგრამ იგივე ამუნდსენი, თავის წერილში, რომელიც მოთავსებული იყო ინგლისურ გაზეთის „დეილი ქრონიკლის“ ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში, გამოსთქვამს აზრს, რომ ჩრდილოეთ პოლიუსზე არა თუ მხეცებისა და ფრინველების, რამეც ადამიანების ნახვაც კი შეიძლებაო.

საქმე იმაშია, რომ, მიუხედავად გავრცელებული აზრისა ჩრდილოეთის პოლიუსი არ იმყოფება პოლიარული ოკეანის ცენტრში, რომელიც დაფარული საუკუნოების განმავლობაში მუდმივი ყინულით. ჩრდილოეთის პოლიუსი—განაპირა ნაწილია, იმ უზარმაზარი ყინულოვან უდაბნოსი, რომელიც იმყოფება მარჯვნივ—გრენლანდიისაკენ. ამ უდაბნოში ჯერ ფეხი არ დაუდგამს ადამიანს, რადგან ზღვის მდინარეებისაგან გამოწვეული ყინულოვანი მთების მოძრაობა საშვალებას არ იძლევა გემით მივიდეს ადამიანი ამ ნაპირთან. ამუნდსენის აზრით, ეს უდაბნო წარმოადგენს უცნობ გამოურკვეველ კუნძულს და დიდი საიდუმლოებით არის მოცული.

ზაფხულის თვეებში კუნძულის გარშემო არსებული ყინული დნება და მიემართება ზღვის გულისაკენ დიდი მანძილით. ამის შემდეგ ნაპირზე შეუძლიათ ასვლა ზღვის ძაღლებს, ხოლო ყინულისაგან განთავისუფლებულ კლდეებზე ზღვის ფრინველებიც იყრიან თავს.

—მე ხშირად და ბევრს ვფიქრობდი—ამბობს ამუნდსენი თავის წერილში,—თუ რა მოუვიდათ ყველა იმ მეთევზეებს, რომლებიც რომლებიც მიემგზავრებოდენ აქეთკენ გემებით ზღვის ვეშაპებზე სანადიროთ და უკან დაბრუნებული კი აღარავის უნახავს ისინიო.

ამუნდსენი ფიქრობს, რომ ეს გემები მოექცენ რა ყინულოვან სარტყელში, ისინი ყინულის მთებთან ერთად გაიტაცა ზღვის მდინარეებმა და მიაგდო ამ უცნობი კუნძულის სანაპიროებთან.

უკანასკნელ ხანებში ასეთ ნაირად დაკარგულ გემთა რიცხვი აღწევს 100-მდე. თითეულზე იყო არა ნაკლები 50 კაცისა. მათ შორის, ზღვის ვეშაპებზე მონადირეების ჩვეულებისამებრ იყვნენ აგრეთვე ქალები და ბავშვებიც. ყინულის მთებისაგან დამტვრეულ თავის გემების ნაწილებისაგან მათ შეეძლოთ გაეკეთებიათ საცხოვრებელი ბინები, და ზაფხულის თვეებში, როდესაც უცნობ კუნძულზე თავს მოიყრიან ფრინველები და ცხოველები შეეძლებათ იშოვონ ზამთრისათვის საკვები.

„ამ ხალხს ამნაირად შეეძლებათ ცხოვრება, გამრავლება და დაარსონ „უცნობ კუნძულზე“ პოლიარული კოლონია—ამბობს ამუნდსენი—მაგრამ ისინი სამუდ მოთ იქნებიან მოწყვეტილი დანარჩენ ქვეყანას, რადგანაც მათ კუნძულს გარს უვლის ყინულის მთები და იქედან გამოსვლა შეუძლებელი ხდება“.

ერთი თვის შემდეგ ამ „უცნობი მიწის“ საიდუმლოება შეიძლება გაგებული იქნეს. ამუნდსენის დირიჟაბლი გადიფრენს იმ ადგილებზე, სადაც ადამიანს ფეხი არ დაუდგამს აქამდე, ხოლო ვინც იყო—იქედან აღარ დაბრუნებულა.

თუ ამუნდსენის აზრი გამართლდა და ჩრდილოეთის პოლიუსზე მართლა არსებობს ხალხი—ეს იქნება ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა ჩვენს დროში: ახალი საბუთი ადამიანის ნებისყოფისა და შრომის, ბუნების უსულო და ბრმა ძალებზე გამარჯვების საქმეში.

## ფიზკულტურა

— პირველი მაისის დღესასწაულში ყველა ფიზკულტურის წრეები მიიღებენ მონაწილეობას.

— ივნისის ტანვარჯიშულ ზეიმს ფართო ხალხური ხასიათი ექნება. ერთდროულად თავისუფალ ვარჯიშში მონაწილეობას მიიღებს ორი ათასი მოვარჯიშე.

— ოსმალების ჩამოსვლა ტფილისში, შემოდგომისთვის გადაიდო.

— ქუთაისში ტანვარჯიშულ შეჯიბრის ჩასატარებლათ ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო აგზავნის მ. პატარიძეს.

— ფიზკულტურის საბჭომ გამართა საჩვენებელი ვარჯიში: გომბორში, სართიჭალაში, საგარეჯოში და მარტყოფში. ამ სოფლებში დაარსდა ფიზკულტურის წრეები.

## პასუხი სამხკორებს

ა. დეისაძეს. (1-ლი ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „სოფ. საყულიის თემის კომკავშირის“ შესახებ ჩვენთვის გამოუსადეგარია. გადაეგზავნა გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტს“.

ჩიჩაიშვილს. (4 ლეგ.) თქვენი კორესპონდენციიდან ვერაფერი გავიგეთ. სწერეთ უფრო გარკვეულად. მიმართეთ ადგილობრივ სამხკორთა წრეს და ის მოგცემთ სათანადო ახსნა-განმარტებას.

ნ. ლასა-ს (4 ლეგ.) წერილი საკომენდანტო ოცეულის შესახებ არ დაიბეჭდება. მოიწერეთ სხვაზე და ხშირად.

დედისეს (1-ლი საკავშირო) წერილები სპორტისა და შეფობის შესახებ არ დაიბეჭდება. ასეთები ჩვენს გაზეთში იყო მოთავსებული.

სარიყველაძეს (1-ლი ლეგ.) თქვენი წერილი ძლიერ გაურკვეველია. არ დაიბეჭდება. სწერეთ რაც შეიძლება გარკვევით და სუფთად.

გოგიაშვილს (2 ლეგ.) კორესპონდენცია უმცროს მეთაურის შესახებ არ დაიბეჭდება. გადაეგზავნა ლეგიონის სამხედრო კომისარს საქმის გამოსარკვევად.

მეხს. წერილი საყარაულოს შესახებ არ დაიბეჭდება. მიმართეთ ამის შესახებ სათანადო ხაზით.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლი ქართული მსროლელი ლეგიონის მე-4 ასეულის კომკავშირში, აქვს შემოტანილი განცხადება, უპარტიო წითელ არმიელს დავით ღარიბაშვილს, თხოულობს კომკავშირში მიღებას.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ, გთხოვთ გვაცნობოთ, ერთი კვირის განმავლობაში მე-4 ასეულის კომკავშირში.

ქართულ სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) ნიკოლოზ უზანისძე კვანჩიანს (ზემო სვანეთი სოფ. ლატალის მცხოვრები), 2) მუმულაძე ზაქარია ანტონისძეს (გორის მაზრის დაბა ბორჯომში მცხოვრები).

თუ ვინმეს რაიმე საწინაღმდეგო აქვს, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

კომუჯრედის პ. მგ. მდივანი შ. ფუხაევი.